



ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების საერთო პირობების დანართი N8 - მობილ ბანკი

1. **მობილ ბანკის** საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილია მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ინფორმაცია, შეასრულოს **გადახდები** და მართოს **ანგარიშები**.
2. იმისათვის რომ **კლიენტმა** ისარგებლოს **მობილ ბანკით** იგი უნდა ფლობდეს Android-ის ან iOS-ის საოპერაციო სისტემაზე მომუშავე სმარტფონს.
3. **მობილ ბანკის** აპლიკაციის (დასახელებით: BOG mBank - Mobile Banking) ჩამოტვირთვა/განახლება შესაძლებელია Apple-ის ოფიციალური პორტალიდან AppStore, ან Android-ის ოფიციალური პორტალიდან Google Play Store, რისთვისაც **კლიენტს** უნდა გააჩნდეს შესაბამისი პორტალის მომხმარებლის სახელი და პაროლი.
4. თუ **კლიენტი** დარეგისტრირებულია **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**, **მობილ ბანკის** გასააქტიურებლად მან **მობილ ბანკის** აპლიკაციის ჩამოტვირთვის შემდეგ, შესაბამის ფორმაში უნდა შეიყვანოს **მომხმარებლის სახელი** და **პაროლი**, და დამატებით დაადასტუროს **მობილ ბანკის** აქტივაცია **ერთჯერადი კოდით** დადასტურებას, რომელსაც **კლიენტი** მიიღებს **ფინანსურ ნომერზე** ან/და **ფინანსურ ელექტრონულ ფოსტაზე**. თუ **კლიენტი** სარგებლობს **Digipass**-ით, შესაძლებელია **Digipass**-ით დაგენერირებული **ერთჯერადი კოდის** გამოყენებაც.
5. **მობილ ბანკში** ნებისმიერ **კლიენტს** **ავტორიზაციის** გარეშე საშუალება აქვს:
 - 5.1. დაუკავშირდეს **ტელეფონ ბანკს**;
 - 5.2. მიიღოს ინფორმაცია:
 - 5.2.1. **ბანკომატების**, სერვისცენტრების ან/და **თვითმომსახურების ტერმინალების** შესახებ, მათ შორის მოძებნოს უახლოესი **ბანკომატი**, **სერვისცენტრი** ან/და **თვითმომსახურების ტერმინალი**;
 - 5.2.2. საქართველოს ეროვნული ბანკის ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსების შესახებ;
 - 5.3. განახორციელოს გადახდები, გარდა აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის გადახდებისა, მათ შორის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის ბალანსის შევსებისა, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ლიცენზირებული კომერციული ბანკ(ებ)ის მიერ ემიტირებული ბარათ(ებ)ის გამოყენებით, ამასთან, გადახდების განხორციელებისას **ბანკის** მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში გადახდები განხორციელდება **ძლიერი ავთენტიფიკაციით**;
 - 5.4. შექმნას გადახდების/**გადარიცხვების** შაბლონები (მათ შორის თემატური შაბლონები, მაგ. „ჩემი სახლი“, „ჩემი მანქანა“ და სხვ.);
 - 5.5. დაიმახსოვროს/შეინახოს **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი**;
 - 5.6. გააზიაროს გადახდის ქვითარი;
 - 5.7. დარეგისტრირდეს **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**;
 - 5.8. გაგზავნოს მეილი **ბანკში**.
 - 5.9. გაიაროს **ონლაინ იდენტიფიკაცია**.
6. წინამდებარე **დანართის მე-5 პუნქტში** მოცემულის გარდა, **მობილ ბანკში** მხოლოდ **ძლიერი ავთენტიფიკაციით** **ავტორიზებულ კლიენტს** საშუალება აქვს:
 - 6.1. აღადგინოს/შეცვალოს **მომხმარებლის სახელი** ან/და **პაროლი**,
 - 6.2. დამატებით ისარგებლოს:
 - 6.2.1. პას კოდით ან/და თითის ანაბეჭდით **ავტორიზაციით**;



- 6.2.2. სახის ამოცნობის (face ID) (მხოლოდ iOS-ის საოპერაციო სისტემაზე მომუშავე სმარტფონების შემთხვევებში თუ შესაბამისი სმარტფონი აღჭურვილია სახის ამომცნობის ფუნქციით) **ავტორიზაციით.**
- 6.3. მიიღოს ინფორმაცია:
 - 6.3.1. **ანგარიშებზე, კრედიტებზე, საკრედიტო ბარათებსა და ანაზრებზე (დეპოზიტებზე);**
 - 6.3.2. დაგროვების პროგრამების შესახებ (PLUS ქულები, MR ქულები, sCool-ები, **ელექტრონული ყულაბა**);
 - 6.3.3. უახლოესი გადასახდელების შესახებ (კრედიტი, საკრედიტო ბარათი, **საკომისიო, კომუნალური გადახდები**);
 - 6.3.4. **ბანკის** შეთავაზებების შესახებ, მათ შორის **ბანკში** მიმდინარე აქციების შესახებ;
- 6.4. გადაიხადოს კომუნალური და სხვა სახის გადასახადები;
- 6.5. **მიმღებს** მიაწოდოს სანდო ბენეფიციარის სტატუსი;
- 6.6. შეასრულოს **გადარიცხვის ოპერაციები**, მათ შორის, **გადარიცხოს ბანკის** სხვა კლიენტის მიერ მოთხოვნილი თანხა ან უარი თქვას **ბანკის** სხვა კლიენტის მიერ მოთხოვნილი თანხის **გადარიცხვაზე**;
- 6.7. გამოიყენოს **ინტერნეტ ბანკში** შექმნილი შაბლონები;
- 6.8. შეასრულოს **კონვერტაცია მობილ ბანკის** კურსით;
- 6.9. გააფავორიტოს **ანგარიში** ან/და **ბარათი** ან/და არ გამოაჩინოს **ანგარიშები**;
- 6.10. დაბლოკოს/განბლოკოს **ბარათები**;
- 6.11. გაააქტიუროს/გამორთოს **ბარათის დაცვის მომსახურება** ან/და **ბარათის 3D უსაფრთხოება**;
- 6.12. გააზიაროს **ანგარიშის** ნომერი;
- 6.13. ჩამოტვირთოს/გააზიაროს გადახდის ქვითარი ან/და **საგადახდო დავალება**;
- 6.14. მოძებნოს სასურველი მოდული ან/და ინფორმაცია მის მიერ შესრულებულ **ოპერაციებთან** დაკავშირებით;
- 6.15. გაააქტიუროს/გამორთოს **ელექტრონული ყულაბა**;
- 6.16. გაააქტიუროს/დაარედაქტიროს/გამორთოს **ავტომატური გადახდების** ან/და **მუდმივი საგადახდო დავალება**;
- 6.17. ჩაერთოს ურთიერთობის პროგრამა PLUS-ში (მხოლოდ SOLO კლიენტებისათვის);
- 6.18. PLUS ქულები გადაცვალოს მომსახურებაში/შეიძინოს საჩუქარი;
- 6.19. PLUS ქულები გადარიცხოს;
- 6.20. მოიწვიოს **მესამე პირი** ურთიერთობის პროგრამა PLUS-ში;
- 6.21. შეიძინოს MR ქულებით ვაუჩერი;
- 6.22. გაააქტიუროს/დაარედაქტიროს/გამორთოს **მობილ ბანკის** აპლიკაციის შეტყობინებების (PUSH ნოტიფიკაციები) ფუნქცია; ამ პუნქტის მიზნებისთვის, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად გამორთოს **კლიენტის** მიერ გააქტიურებული შეტყობინებების (PUSH ნოტიფიკაციები) ფუნქცია, იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ ისარგებლებს **მობილ ბანკის** აპლიკაციით;
- 6.23. გაააქტიუროს/დაარედაქტიროს/გამორთოს **SMS ბანკი**;
- 6.24. შეცვალოს/დაამატოს **ბანკში** დაფიქსირებული საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, **ფინანსური ნომერი** და **ფინანსური ელექტრონული ფოსტა**;
- 6.25. გახსნას/დაარღვიოს ანაზარი (დეპოზიტი);
- 6.26. შეუკვეთოს სადებეტო **ბარათი**, მათ შორის **ციფრული ბარათი**, აგრეთვე განახორციელოს სადებეტო **ბარათის** შეკვეთა **ბარათის ადგილზე მითანის მომსახურების ფარგლებში**;
- 6.27. გააუქმოს სადებეტო, საკრედიტო ან/და ციფრული **ბარათის** შეკვეთის განაცხადი



- 6.28. გააქტიუროს **ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების ფარგლებში** შეკვეთილი სადებეტო ბარათი;
- 6.29. გამოაჩინოს ბარათის, მათ შორის **ციფრული ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები**;
- 6.30. გააუქმოს **ანგარიშთან** დაკავშირებული, მის მფლობელობაში/მის სახელზე არსებული, ნებისმიერი სადებეტო, საკრედიტო ან/და ციფრული **ბარათი**, გარდა შესაბამის **ანგარიშთან** დაკავშირებული უკანასკნელი ბარათისა.
- 6.31. შეასრულოს **QR გადახდები** ამ დანართის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- 6.32. გააქტიუროს **ბანკის** მიერ შეთავაზებული (მათ შორის წინასწარ დამტკიცებული) **კრედიტ(ებ)ი** (მათ შორის საკრედიტო **ბარათ(ებ)ი**, **ოვერდრაფტი**) ან/და ანაზრით (დეპოზიტით) უზრუნველყოფილი **კრედიტი**, ასევე, შეიტანოს ცვლილებები ან/და დამატებები **კრედიტ(ებ)ის** ხელშეკრულებაში(ებში), **ბანკში** დადგენილი **ლიმიტ(ებ)ის** შესაბამისად;
- 6.33. მოახდინოს **ბანკის** მიერ განსაზღვრული ტიპის ანაზრზე (დეპოზიტზე) თანხის დამატება;
- 6.34. დაფაროს **ბანკის** მიერ განსაზღვრული ტიპის **კრედიტი** სრულად ან ნაწილობრივ;
- 6.35. მიანიჭოს/გააუქმოს სანდო მოწყობილობის სტატუსი მის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებულ მობილურ მოწყობილობას;
- 6.36. დაამატოს **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათ(ებ)ი** Wallet-ის აპლიკაციაში(ებში);
- 6.37. მიიღოს **ფულადი გზავნილი**;
- 6.38. ჩატის მეშვეობით, მიმართოს **ბანკს** და მოითხოვოს მისი დაფიქსირება **ბანკის** სხვა კლიენტის (იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს) წარმომადგენლად;
- 6.39. გააქტიუროს **SOLO ანგარიშთა პაკეტი** და **იმეილ ბანკი**;
- 6.40. **ბარათის** მეშვეობით განახორციელოს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის გადახდები, მათ შორის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის ბალანსის შევსება;
- 6.41. **მესამე პირისაგან** მოითხოვოს თანხის ჩარიცხვა/გააუქმოს მოთხოვნა/ჩათვალოს მოთხოვნა მიღებულად.
- 6.42. დააინიციროს ავტომატური რევერსალის პროცედურა მომენტალური განვადების ფარგლებში **კლიენტის** მიერ გააქტიურებული შესაბამისი **კრედიტ(ებ)ის** გაუქმების მიზნით, **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურის, წესებისა და პირობების შესაბამისად.
- 6.43. **მობილ ბანკში** დაამატოს/განაახლოს სხვა კომერციული ბანკში ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან **კლიენტის** ანგარიშების, ანგარიშებზე არსებულ ნაშთებისა და ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია, **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურის, წესებისა და პირობების შესაბამისად.
- 6.44. გაუზიაროს **ანგარიშების, ანგარიშებზე** არსებულ ნაშთებისა და **ანგარიშებზე** განხორციელებული **ოპერაციების** შესახებ ინფორმაცია სხვა კომერციულ ბანკს ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურის, წესებისა და პირობების შესაბამისად.
- 6.45. **ბანკის კლიენტი** არასრულწლოვნისთვის შეუკვეთოს სადებეტო **ბარათი** თუ იგი **ბანკში** დაფიქსირებულია აღნიშნული არასრულწლოვანი პირის კანონიერ წარმომადგენლად, მათ შორის, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, **ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების** ფარგლებში.
- 7. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ სადებეტო, საკრედიტო ან/და ციფრული **ბარათის** გაუქმებით არ ხდება აღნიშნულ სადებეტო, საკრედიტო ან/და ციფრულ **ბარათზე** მიბმული **ანგარიშის** დახურვა.



8. **კლიენტს**, რომელიც წარმატებით გაივლის **ონლაინ იდენტიფიკაციას** ან ფლობს **ბანკის ბარათ(ებ)ს**, შესაძლებლობა აქვს **მობილ ბანკით** დარეგისტრირდეს **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**. **ონლაინ იდენტიფიკაციის** წარმატებით დასრულების შემთხვევაში, **კლიენტი** უთითებს სასურველ **მომხმარებლის სახელსა** და **პაროლს**; ხოლო, **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის საფუძველზე** რეგისტრაციისას, **კლიენტი** უთითებს **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ს** რის შემდეგაც უნდა მიუთითოს **ერთჯერადი კოდი**, რომელსაც მიიღებს **ფინანსურ ნომერზე**. **ერთჯერადი კოდის** წარმატებით მითითების შემდეგ, **კლიენტი** უთითებს სასურველ **მომხმარებლის სახელსა** და **პაროლს** ორჯერ.
9. **მობილ ბანკით პაროლის** აღსადგენად **კლიენტმა** უნდა გაიაროს **ონლაინ იდენტიფიკაცია** და მიუთითოს **ერთჯერადი კოდი**, ან შესაბამის ფორმაში მიუთითოს **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი** და **ერთჯერადი კოდი**. **კლიენტი ერთჯერად კოდს** მიიღებს **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში** დაფიქსირებულ **ფინანსურ ნომერზე** ან/და **ფინანსურ ელექტრონულ ფოსტაზე**. **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის** საფუძველზე **პაროლის** აღდგენის შემთხვევაში, თუ **კლიენტი** სარგებლობს Digipass-ით, შესაძლებელია Digipass-ით დაგენერირებული **ერთჯერადი კოდის** გამოყენებაც. ამასთან, **პაროლის** აღსადგენად, **ერთჯერადი კოდის** შეყვანამდე **კლიენტი** შესაბამის ველში, **ბანკის** შეხედულებისამებრ უთითებს **ფინანსურ ნომერს** ან **ფინანსურ ელექტრონულ ფოსტას**.
10. მხოლოდ პას კოდით **ავტორიზაციის** გასააქტიურებლად, **კლიენტის** სარგებლობაში არსებულ მობილურ მოწყობილობას უნდა ჰქონდეს მინიჭებული სანდო მოწყობილობის სტატუსი, **კლიენტმა** უნა გაიაროს **ძლიერი ავთენტიფიკაციით ავტორიზაცია** და შემდეგ აირჩიოს პას კოდით **ავტორიზაცია**, შეარჩიოს სასურველი ციფრების კომბინაცია და დაადასტუროს ის **ძლიერი ავთენტიფიკაციით**. ამ პუნქტის მიზნებისთვის, პას კოდით **ავტორიზაცია** შესაძლებელია მხოლოდ **კლიენტის** სარგებლობაში არსებულ ერთ კონკრეტულ სმარტფონზე.
11. **კლიენტს**, რომელიც ფლობს მობილურ ტელეფონს და რომელსაც გააჩნია თითის ანაბეჭდის სკანერი ან სახის ამომცნობი (face ID), **მობილ ბანკში ავტორიზაციისათვის** შეუძლია პას კოდით **ავტორიზაციასთან** ერთად გამოიყენოს თითის ანაბეჭდით ან სახის ამომცნობი (face ID) **ავტორიზაციის** მეთოდიც. ამისათვის **კლიენტმა** უნდა აირჩიოს თითის ანაბეჭდით ან სახის ამომცნობი (face ID) და დაადასტუროს **ძლიერი ავთენტიფიკაციით**.
12. **მობილ ბანკში ავტორიზაციისას მომხმარებლის სახელის** ან/და **პაროლის** ან/და **პას კოდის** სამჯერ არასწორად მითითების შემთხვევაში **მობილ ბანკი** დაიბლოკება 30 წუთით.
13. **ძლიერ ავთენტიფიკაციას** საჭიროებს შემდეგი **ოპერაციები**:
 - 13.1. **გადარიცხვა მესამე პირთან**, მათ შორის, **ბანკის** სხვა კლიენტის მიერ მოთხოვნილი თანხის **გადარიცხვა**, ან/და ბიუჯეტში. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, **ბანკის** მიერ **გადარიცხვის ოპერაციის ძლიერი ავთენტიფიკაციით** შესრულება შესაძლოა არ იყოს მოთხოვნილი, იმ შემთხვევაში თუ **გადარიცხვა** სრულდება ისეთ **მიმღების** სასარგებლოდ, რომელსაც **კლიენტის** მიერ მინიჭებული აქვს სანდო ბენეფიციარის სტატუსი;
 - 13.2. სანდო ბენეფიციარის სტატუსის მინიჭება **მიმღებისთვის**;
 - 13.3. გამოიყენოს **ინტერნეტ ბანკში** შექმნილი შაბლონები;
 - 13.4. **ციფრული ბარათის** შეკვეთა ან/და **ბარათის** განბლოკვა;
 - 13.5. **ბარათის ადგილზე** მიტანის **მომსახურების ფარგლებში** შეკვეთილი სადებეტო **ბარათის** აქტივაცია;
 - 13.6. **ბარათის**, მათ შორის **ციფრული ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების** გამოჩენა;
 - 13.7. **მომხმარებლის სახელის** ან/და **პაროლის** შეცვლა/აღდგენა;



- 13.8. ანაზრის (დეპოზიტის) დარღვევა **ბანკში** დადგენილი **ლიმიტ(ებ)ის** შესაბამისად;
- 13.9. **ავტომატური გადახდების** ან/და **მუდმივი საგადახდო დავალების** გააქტიურება/რედაქტირება/გამორთვა;
- 13.10. **ელექტრონული ყულაზის** გააქტიურება/გამორთვა ან/და **ბარათის 3D უსაფრთხოების** გამორთვა;
- 13.11. PUSH ნოტიფიკაციების გამორთვა;
- 13.12. **SMS ბანკის** გამორთვა;
- 13.13. **ბანკში** დაფიქსირებული საკონტაქტო ინფორმაციის, მათ შორის მისამართის, ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის, **ფინანსური ნომრის** და **ფინანსური ელექტრონული ფოსტის** ცვლილება/დამატება;
- 13.14. **ბანკის** მიერ შეთავაზებული (მათ შორის წინასწარ დამტკიცებული) **კრედიტ(ებ)ის** (მათ შორის საკრედიტო **ბარათ(ებ)ის, ოვერდრაფტი**) გააქტიურება, ასევე, ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა **კრედიტ(ებ)ის** ხელშეკრულებაში(ებში).
- 13.15. ანაზრით (დეპოზიტით) უზრუნველყოფილი **კრედიტის** გააქტიურება **ბანკში** დადგენილი **ლიმიტ(ებ)ის** შესაბამისად;
- 13.16. **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათ(ებ)ის** Wallet-ის აპლიკაციაში(ებში) დამატება;
- 13.17. ურთიერთობის პროგრამა PLUS-ში ჩართვა;
- 13.18. PLUS ქულები გადარიცხვა;
- 13.19. **ბარათის** მეშვეობით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის გადახდები, მათ შორის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის ბალანსის შევსება;
- 13.20. მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული მობილური მოწყობილობისათვის სანდო მოწყობილობის სტატუსი მინიჭება.
- 13.21. სხვა კომერციული ბანკში ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან **კლიენტის** ანგარიშების, ანგარიშებზე არსებულ ნაშთებისა და ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის დამატება/განახლება **მობილ ბანკში**.
- 13.22. **ანგარიშების, ანგარიშებზე** არსებულ ნაშთებისა და **ანგარიშებზე** განხორციელებული **ოპერაციების** შესახებ ინფორმაციის სხვა კომერციულ ბანკისთვის ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის გაზიარება.
- 14. იმ შემთხვევაში თუ **ავტორიზაციის** შემდეგ **მობილ ბანკში** უმოქმედოდ იქნება 5 წუთის განმავლობაში, **მობილ ბანკი** ავტომატურად დაიხურება და მისი ხელახალი გამოყენებისათვის (გარდა **ბარათით** გადახდისა) **კლიენტმა** უნდა გაიაროს **ავტორიზაცია** ხელახლა.
- 15. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტთან** შეტყობინების გაგზავნის გარეშე, ნებისმიერ დროს შეზღუდოს, შეცვალოს ან/და გააუქმოს **ავტორიზაციის** ან/და **ოპერაციის** შესრულების მეთოდი, მათ შორის შეცვალოს იმ **ოპერაციების** ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროებს **ძლიერ ავთენტიფიკაციას**. ამასთან, თუ **ბანკის** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს, **ძლიერ ავთენტიფიკაციას** არ საჭიროებს ისეთი **მესამე პირის** სასარგებლოდ განხორციელებული **გადარიცხვა/გადახდა**, რომლის თანხა არ აღემატება 50 (ორმოცდაათი) ლარს და ამასთან **კლიენტის** მიერ ბოლოს **ძლიერი ავთენტიფიკაციით** შესრულებული **გადარიცხვიდან/გადახდიდან** მიმდინარე **გადარიცხვის/გადახდის** თანხის ჩათვლით **გადარიცხვის/გადახდის** ჯამური თანხა არ აღემატება 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს ან **კლიენტის** მიერ ბოლოს **ძლიერი ავთენტიფიკაციით** შესრულებული **გადარიცხვის/გადახდის** შემდგომ **კლიენტის** მიერ მიმდევრობით შესრულებული **გადარიცხვის/გადახდის** რაოდენობა არ აღემატება ხუთს.
- 16. **QR გადახდა** წარმოადგენს **ბანკის** მიერ შემუშავებულ გადახდის ერთ-ერთ მეთოდს, კერძოდ:



- 16.1. **QR გადახდის** შესასრულებლად **კლიენტი** უნდა სარგებლობდეს **მობილ ბანკით** (ფოტო/ვიდეო კამერით აღჭურვილი მობილური ტელეფონით) და ფლობდეს აქტიურ **ანგარიშს**, რომელთანაც დაკავშირებულია აქტიური სადებეტო ან/და საკრედიტო **ბარათი** (**ბარათი** არ უნდა იყოს დაბლოკილი, ვადაგასული ან/და სხვა რაიმე ფორმით შეზღუდული გამოყენებისთვის).
- 16.2. **QR გადახდის** შესასრულებლად **კლიენტმა** უნდა გაიაროს ავტორიზაცია **მობილ ბანკში**, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად. **QR გადახდის** შესრულებამდე საჭიროა მოხდეს **QR კოდის** წაკითხვა/სკანირება მობილური ტელეფონის ფოტო/ვიდეო კამერის მიახლოების გზით.
- 16.3. **QR გადახდის** შესრულების მიზნით **კლიენტი**:
 - 16.3.1. ირჩევს **საბარათე ანგარიშს**, საიდანაც სურს გადახდის შესრულება.
 - 16.3.2. **მობილ ბანკში** შეჰყავს გადასარიცხი თანხის ოდენობა და ადასტურებს **ოპერაციას** შესაბამისი დილაკით.
- 16.4. იმისათვის, რომ შესრულდეს **QR გადახდა კლიენტის ანგარიშზე** უნდა იყოს **ოპერაციისათვის** საკმარისი თანხა და **ანგარიშზე** არ უნდა ვრცელდებოდეს რაიმე სახის შეზღუდვები (მათ შორის საჯარო სამართლებრივი).
- 16.5. **კლიენტის** მიერ **ოპერაციის** დადასტურების შემდეგ შესაბამისი თანხა გადაირიცხება მიმღების ანგარიშზე.
- 16.6. **კლიენტი** უფლებამოსილია **QR გადახდა** განხორციელოს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. იმ შემთხვევაში თუ **ანგარიშზე** რიცხველი თანხა უცხოურ ვალუტაშია **QR გადახდის** ინიცირების შემთხვევაში, განხორციელდება თანხის კონვერტაცია გადახდის დღეს **ბანკში** დადგენილი კომერციული კურსის შესაბამისად.
- 16.7. **კლიენტი** უფლებამოსილია **მიმღების** თანხმობის შემთხვევაში, **მობილ ბანკიდან** მოახდინოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ინიცირება. ამისათვის **კლიენტმა** უნდა უზრუნველყოს შესაბამის ველში თანხის უკან დაბრუნებისთვის აუცილებელი **ერთჯერადი კოდის** შეყვანა, რომელიც **ბანკის** მიერ გაეგზავნება **მიმღებს**.
- 16.8. **QR გადახდით** გადახდილი თანხის უკან დაბრუნება **კლიენტის** მიერ შესაძლებელია **ოპერაციის** განხორციელებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 16.9. **QR გადახდით** გადახდილი თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ თანხის დაბრუნების ინიცირების მომენტისთვის **მიმღების**, **ბანკში** არსებული ანგარიში აქტიურია და **მიმღების** ანგარიშზე არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის შეზღუდვა (მათ შორის სამართლებრივი).
- 16.10. **QR გადახდით** გადახდილი თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება თანხის უკან დაბრუნების შესახებ მოთხოვნის ინიცირებიდან 2 (ორი) **საბანკო დღის** ვადაში.
17. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ინფორმირებულია მის მიერ **მესამე პირისაგან** თანხის ჩარიცხვის მოთხოვნისთანავე **მესამე პირს** მიეწოდება შემდეგი მონაცემები: **კლიენტის** სახელი და გვარი, მოთხოვნილი თანხის ოდენობა, **კლიენტის ანგარიში**, რომელზეც უნდა მოხდეს მოთხოვნილი თანხის ჩარიცხვა და მოთხოვნის დანიშნულება (**კლიენტის** მიერ მითითების შემთხვევაში). **კლიენტი** თანახმაა, ასეთი ინფორმაცია **ბანკის** არაკლიენტ **მესამე პირს** მიეწოდოს **კლიენტის** მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე, ხოლო თუ **მესამე პირი** არის **ბანკის** სხვა კლიენტი, ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები **მესამე პირს** მიეწოდება მის **ფინანსურ ნომერზე** ან PUSH ნოტიფიკაციის საშუალებით. ამასთან, **ბანკი** იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას, **კლიენტის** მიერ **მესამე პირის/მისი** საკონტაქტო ინფორმაციის არასწორად მითითების გამო ან/და ნებისმიერი



ისეთი შემთხვევის გამო, როდესაც **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზით, გაგზავნილი ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება ნებისმიერი სხვა **მესამე პირისთვის**.

18. **ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების ფარგლებში** შეკვეთილი სადებეტო **ბარათის**, მათ შორის, არასრულწლოვნისთვის შეკვეთილი სადებეტო **ბარათის** აქტივაციით **კლიენტი** ადასტურებს, რომ მას სათანადო ფორმით გადაეცა შეკვეთილი **ბარათი** და რომ მან მიიღო **ბარათის PIN კოდი**.
19. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ: ა) სხვა კომერციული ბანკში ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან **კლიენტის** არსებული ანგარიშების, ანგარიშებზე არსებულ ნაშთებისა და ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ **მობილ ბანკში** ინფორმაციის დამატებით, **ბანკი** იძენს უფლებას **კლიენტისთვის** მომსახურების გაწევის მიზნებისთვის და ამ მიზნების განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, **კანონმდებლობით** დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშავოს მიღებული ინფორმაცია, მათ შორის სხვა პერსონალური ან/და საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია ბ) **ბანკი** არ აგებს პასუხს **ანგარიშების**, მათზე არსებულ ნაშთებისა და **ანგარიშებზე** განხორციელებული **ოპერაციების** შესახებ სხვა კომერციული ბანკისთვის ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის ინფორმაციის გაზიარების შედეგად, გაზიარებული ინფორმაციის მიზნობრივად ან/და არამიზნობრივად დამუშავების შედეგებზე ან/და ნებისმიერი ზიანზე/ზარალზე, რომელიც შეიძლება მიაღწეს ნებისმიერ **მესამე პირს** ამ ინფორმაციის გაზიარებით. გ) მისთვის ცნობილია, რომ ამ **პუნქტით** გათვალისწინებული ინფორმაციის გაზიარებაზე/მიღებაზე **კლიენტის** თანხმობა მოქმედია განსაზღვრული ვადის განმავლობაში დ) **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს **ბანკს** მოსთხოვოს ამ **პუნქტის** „ა“ **ქვეპუნქტით** გათვალისწინებული ინფორმაციის მიღების შეწყვეტა ან/და მიღებული ინფორმაციის დამუშავების შეწყვეტა, თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
20. თუ **კლიენტი** არასრულწლოვანია და იგი **ბანკში** წარმოდგენილია კანონიერი წარმომადგენლის მიერ, **კლიენტი/პირი**, როგორც არასრულწლოვანი **კლიენტის** კანონიერი წარმომადგენელი:
 - 20.1. წინასწარ აცხადებს თანხმობას **მობილ ბანკის** საშუალებით არასრულწლოვანი **კლიენტის** მიერ განხორციელებულ/განსახორციელებელ ნებისმიერ **ოპერაციაზე**;
 - 20.2. ადასტურებს, რომ არასრულწლოვანი **კლიენტის** მიერ **მობილ ბანკის** საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი **ოპერაცია** სრულდება მისი, როგორც არასრულწლოვანი **კლიენტის** კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით და სრულად არის პასუხისმგებელი თითოეულ/ყველა **ოპერაციაზე**;
 - 20.3. წინასწარ აცხადებს თანხმობას **საკომისიოს, პირგასამტეხლოს** და სხვა გადასახდელების გადახდის თაობაზე, რომელიც შეიძლება დაეკისროს არასრულწლოვან **კლიენტს**, მის მიერ ნებისმიერი **საბანკო პროდუქტის/საბანკო მომსახურების** სარგებლობასთან/გამოყენებასთან დაკავშირებით;
 - 20.4. ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია, რომ **ბანკი**, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, შეტყობინების გაგზავნის გარეშე, შეზღუდოს ან/და შეცვალოს **მობილ ბანკის** საშუალებით არასრულწლოვანი **კლიენტისთვის** ნებადართული **ოპერაციების** ჩამონათვალი ან/და დააწესოს **ოპერაციების ლიმიტები**.